27/02/2026

თბილისს სამუშაო ვიზიტით ეწვია მოსკოვის საპატრიარქოს გამომცემლობის მთავარი რედაქტორი



მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქს კირილეს ლოცვა-კურთხევით, 2026 წლის 17-20 თებერვალს თბილისში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა მოსკოვის საპატრიარქოს გამომცემლობის მთავარი რედაქტორი, ბალაშიხისა და ორეხოვო-ზუევოს ეპისკოპოსი ნიკოლოზი.

ვიზიტის ფარგლებში თბილისის სასულიერო აკადემიის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადაეცა მოსკოვის საპატრიარქოს გამომცემლობის წიგნები.

როგორც გამომცემლობის ვებგვერდი იუწყება, თბილისის წმინდა ალექსანდრე ნეველის ტაძარში ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზ ბიძინა გუნიას ღირსი სერაფიმე საროველის ორდენის მედალი გადასცა. მას ეს ჯილდო წმინდა ეკლესიის საკეთილდღეოდ გაწეული შრომის აღიარებისა და დაბადების 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით გადაეცა.

mospat.ru/ge